43/102-02

08.02.2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო

სამართლის იურიდიული პირს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკსა“ და სს ,,დიდუბის ავტოვაგზალს” ს/ნ 202050699 შორის 2018 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N 1231232612062 რომლის საფუძველზეც სს „თიბისი ბანკში“ იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი ფართი:

- საკადასტრო კოდი: 01.13.03.051.011
- მისამართი: ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 153
- დაზუსტებული ფართობი: 8350.00კვ.მ.; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N 4 - საერთო ფართით 1710 კვ.მ.,N 5, N6, N7

სს „თიბისი ბანკი“, როგორც იპოთეკარი თანახმაა, უზრუნველყოფის ობიექტებზე ს/კ 01.13.03.051.011 განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები ისე , რომ არ შემცირდეს სს „თიბისი ბანკის" იპოთეკები და იპოთეკის საგნის კვადრატულობები.

სს ,,თიბისი ბანკის” წარმომადგენელი

ბეჟან კოპაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52864197738121

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N211429136**

რეგისტრაციის თარიღი

23.12.2021 წ


ნოტარიუსი: ლიანა ბუხრიკიძე

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #81

ტელეფონი: 95-25-20



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდასამ დეკემბერს მე, ნოტარიუს ლიანა ბუხრიკიძეს, რომლის სანოტარო მიღრო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.#81.მომმართა გიორგი გოგოძემ, რომელმაც მოითხოვა მასზე მინდობილი უფლებამოსილებების (თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული ნოტარიუს მ. გვაზავას მიერ 27.02.2020, სანოტარო მოქმედების რეგ. #200210074, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური #48847718021720) სს„თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალის ადმინისტრატორის ბეჟან კოპაძისათვის (დაბ. 15.12.1985წ. პ# 01008024679, მისამართი: თბილისი ს.დოლიძის ქ. N 3) გადაცდომა, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი გოგოძემ (დაბ. 08.08.1978 თბილისში, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტალი, კორპუსი 18, ბინა 34, პ/ნ 01001003506, ბარათის #151E68985, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 04.10.2016წ. ) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. აგრეთვე დავადგინე და ვადასტურებ, რომ ზემოხსენებული მინდობილობის (დამოწმებული ნოტარიუს მ. გვაზავას მიერ 27.02.2020, რეგ. #200210074, საფუძველზე გიორგი გოგოძეს აქვს წინამდებარე მინდობილობის გაცემის (მასზე მინიჭებული უფლებების გადანდობის) უფლებამოსილება. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდასამ დეკემბერს გიორგი გოგოძემ (დაბ. 08.08.1978 თბილისში, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტალი, კორპუსი 18, ბინა 34, პ/ნ 01001003506, ბარათის #151E68985, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 04.10.2016წ. ) სს„თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალის ადმინისტრატორს ბეჟან კოპაძეს (დაბ. 15.12.1985წ. პ# 01008024679, მისამართი: თბილისი ს.დოლიძის ქ. N 3), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით სრულად გადაანდო შემდეგი უფლებამოსილებები:

1."რწმუნებული" ბეჟან კოპაძე უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, ფილიალის ფარგლებში გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება ფილიალის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

2.ამ მინდობილობით ბეჟან კოპაძეს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს„თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3. ეს მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაორი წლის სამი იანვრიდან ორიათას ოცდაორი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ.ბუხრიკიძის სანოტარო არქივში.

5."რწმუნებულს" უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) ფილიალის თანამშრომლებს (რომლებსაც აღარ ექნებათ შემდგომი გადანდობის უფლება).

სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 13.80 /ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი/ ლარი, მათ შორის: 10.00 /ათი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, 1.80 /ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 2.00 /ორი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება #507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ლ. ბუხრიკიძე

სააქციო საზოგადოება
„დიდუბის ავტოვაგზალი“

The Joint-Stock Company
“AVTOSTATION DIDUBE”

№ 1/5 01 თებერვალი 20 22წ.

სს „თიბისი ბანკს“

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის იანვრის თვეში განცხადებით მივმართეთ ქ. ბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს სადგურის ტერიტორიაზე საპირფარეშოს აშენების თაობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის #5779490 გადაწყვეტილების თანახმად ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით საჭიროა წარდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

სააქციო საზოგადოების ტერიტორიაზე საპირფარეშოს აშენების აუცილებლობიდან გამომდინარე , გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა აღნიშნული სამუშაოს შესრულებაზე.

დირექტორი: ნესტორ მიქატაძე

საქართველო, ქ. თბილისი 0119
აკაკი წერეთლის გამზირი № 153
ტელ.: 234 41 40; 235 29 21
ს/კ 202050699

E-mail: autovagzalididube@gmail.com

4 KARALETI ST.
0119 TBILISI, GEORGIA
TEL.: +995 32 234 41 40; +995 32 235 29 21
I/N 202050699